ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3058606

ნომერი: AR1469075

თარიღი : 07.01.2017

გაცემის თარიღი : 25.01.2017

გაცნობის თარიღი : 25.01.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი ბნელი , N 5/7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სულხან ქართველიშვილი პ/ნ 01017001753
- თბილისი მ.ზიჩის ქ. N 1

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ჯდ კაპიტალი კოდი: 405170461

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1469075 (07.01.17.) განცხადების პასუხად, გაცნობებთ: რადგან მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.18.03.065.013 რომელზეც გსურთ არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია სასტუმროს ფუნქციით მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ, რომლის დასკვნის შესაბამისად მიეცა უარყოფითი რეკომენდაცია ქ. თბილისში, ბნელი ჩიხი N5/7-ში არსებული შენობის სასტუმროდ რეკონსტრუქციის მიზნით ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭების საკითხს. სამსახური საკითხის ხელმეორედ განხილვას შეძლებს საბჭოს წევრთა რეკომენდაციების საფუძველზე დამუშავებული მასალის წარმოდგენის შემდეგ. კერძოდ: წარმოსადგენია ახალი მასალა იმისთვის, რომ დასაბუთდეს არსებული ნაგებობის ჩანაცვლების აუცილებლობა; არსებული შენობა ისედაც შეუსაბამოა ამ უბნისთვის აქედან გამომდინარე საჭიროა უფრო მეტი კვლევა დასაბუთებით ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭებისთვის; ადგილის მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროა დამატებითი ფოტო და სარენდერო მასალა სხვადასხვა ხედებიდან;

აღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.